უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით

ქ. თბილისი 11 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, შპს "ტაჰა 14" წარმოდგენილი მისი დირექტორის ასიფ აბდულლაევის (პ/ნ C02008227) სახით (შემდგომში წოდებული, როგორც მყიდველი),
საიდენტიფიციო ნომერი: 402084196
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, უზნაძის 111, ბინა 11, შენობა N 2
ტელ: 557765265; 598163366
ელ. ფოსტა: taha14tbilisi@gmail.com; company.taha@gmail.com

მეორე მხრივ, შპს "გრეით ჰაუსი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ბოჭორიშვილის (პირადი N 01024019498) სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც გამყიდველი),
საიდეტიფიკაციო კოდი: 405149744
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა, N 28, (ნაკვ. 8/20)
Tel: +995 595 963 963
E-mail: bugadze78@mail.ru
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: სს "ხალიკ ბანკი"
ბანკის კოდი: HABGGE22
ანგარიშის ნომერი:GE75HB0000000002693605 GEL

მესამე მხრივ, შპს „ბალტიკ რეკ", წარმოდგენილი მისი დირექტორის ლვან ქუჩულორიას მინდობილი პირის, დავით საგანელიძის (პირადი N 01024006858) სახით (შემდგომში წოდებული, როგორც კრედიტორი),
საიდენტიფიციო ნომერი: 202360159
მისამართი: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა, N 28, (ნაკვ. 8/20)
ელ. ფოსტა: saganelidze.david@gmail.com, khuchua-konstantine@mail.ru
ნების თავისუფალი გამოვლენისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - ნასყიდობის საგანი/უძრავი ქონება):

1.1.1. მისამართი: ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქუჩა #28 (ნაკვეთი 8/20)
საკადასტრო კოდი: 01.13.05.008.020
დაზუსტებული ფართი: 5988.00 კვ.მ.

1.1.2. საჯარო რეესტრის მონაცემებით, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია სამომავლო ქონებაზე საკუთრების უფლება ს.ს. „კონცენტრანტი"-ს სასარგებლოდ:

რეგისტრაციის თარიღი: 29.06.2009
რეგისტრაციის ნომერი: 882009186859

1.1.3. საჯარო რეესტრის მონაცემებით, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია ვალდებულება შპს „ბალტიკ რეკ“-ის (202360159) სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც, გამყიდველს ეკრალება კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებამდე უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა.

რეგისტრაციის თარიღი: 15.07.2016
რეგისტრაციის ნომერი: 882016447813

აღნიშნული ვალდებულების გაუქმების სანაცვლოდ მყიდველის მიერ შპს „ბალტიკ რეკ“-ისათვის ასანაზღაურებელი თახის ოდენობა შეადგენს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარს.

1.2. ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ასევე არქიტექტურული-სამშენებლო პროექტის (არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც არის ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის არსებითი და განუყოფელი ნაწილი) მიწოდება. მყიდველს ასევე გადაეცემა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, წყალ-კანალიზაციისა და ელექტრო ენერგიის მიერთების საინჟინრო პროექტები.

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარისწორების წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად: 2 126 500 (ორიმილიონ ასოცდაექვსიათასხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში ფულადის სახით და საცხოვრებელი ფართები შემდეგი ოდენობით: საცხოვრებელი ფართი 3 900 (სამიათასცხრაასი) კვ.მ.-ის ოდენობით, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 1 950 000 (მილიონ ცხრაასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში (მიწის ნაკვეთის ჯამური ღირებულება 4 076 500 (ოთხიმილიონ სამოცდათექვსმეტიათასხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში);

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრება 73 500 (სამოცდაცამეტიათასხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

2.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების ღირებულების ფულადი ნაწილის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგნაირად:

ა) შპს „გრეით ჰაუსი“-სათვის გადასახდელი თანხა - 700 000 (შვიდასიათასი) აშშ დოლარი, რომლის გადახდაც იწარმოებს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

1. 200 000 (ორასიათასი) აშშ დოლარი - 2018 წლის ოქტომბერში;
2. 500 000 (ხუთასიათასი) აშშ დოლარი - 2019 წლის 20 იანვრამდე.

ბ) „კრედიტორ“ შპს „ბალტიკ რეკ“-ისათვის გადასახდელი თანხა - 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასიათასი) აშშ დოლარი, რომლის გადახდაც იწარმოებს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

1. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2018 წლის 15 სექტემბერი;
2. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2018 წლის 15 დეკემბერი;

3. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2019 წლის 15 მარტი;
4. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2019 წლის 15 ივნისი;
5. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2019 წლის 15 სექტემბერი;
6. 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი - 2019 წლის 15 დეკემბერი;

„კრედიტორისთვის" ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდა მოხდება აშშ დოლარში ან/და ქართული ლარში „კრედიტორის" მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის (ინვოისის) შესაბამისად შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:

ანგარიში ქართულ ლარში - ს.ს. „საქართველოს ბანკი", ანგარიშის მფლობელი შპს „ბალტიკ რეკ", ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის # GE63BG0000000187470800.

ანგარიში აშშ დოლარში - ACC: EE381010220001397016, SEB PANK: BIC (SWIFT CODE) EEUHEE2X. TORNIMAE 2, TALLINN, ESTONIA.

2.2.1 ქართული ლარით გადახდის შემთხვევაში გადახდა მოხდება მოცემული დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.3.1. ს.ს. „კონცენტრანტი"-სათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების ოდენობა, მდებარეობა და პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

3 600 (სამიათასექვსასი) კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, საიდანაც 1 770 (ათასშვიდასსამოცდაათი) კვ.მ. ფართი განთავსებული იქნება „ა" ბლოკის (1-ლი სადარბაზო, (ათვლა წარმოებს ბინა #1-იდან პროექტის შესაბამისად) შემდეგ სართულებზე:

ა) მე-7 სართული მთლიანად - 500 (ხუთასი) კვ.მ.
ბ) მე-9 სართული მთლიანად - 500 (ხუთასი) კვ.მ.
გ) მე-11 სართული მთლიანად - 500 (ხუთასი) კვ.მ.
დ) მე-13 სართულზე - 270 (ორასსამოცდაათი) კვ.მ.

დარჩენილი 1 830 (ათასრვაასოცდაათი) კვ.მ. ფართი განთავსებული იქნება „ბ" ბლოკის (მე-2 სადარბაზო პროექტის შესაბამისად) შემდეგ სართულებზე:

ა) მე-6 სართული მთლიანად - 415 (ოთხასთხუთმეტი) კვ.მ.
ბ) მე-8 სართული მთლიანად - 415 (ოთხასთხუთმეტი) კვ.მ.
გ) მე-10 სართული მთლიანად - 500 (ხუთასი) კვ.მ.
დ) მე-12 სართული მთლიანად - 500 (ხუთასი) კვ.მ.

2.3.2. შპს „გარეით ჰაუსი"-სათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების ოდენობა, მდებარეობა და პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) „ბ" ბლოკი, მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული - 87 (ოთხმოცდაშვიდი) კვ.მ.
ბ) „ბ" ბლოკი, მე-2 სადარბაზო, მე-8 სართული 87 (ოთხმოცდაშვიდი) კვ.მ.
გ) „ა" ბლოკი, 1-ლი სადარბაზო, მე-13 სართული - 130 (ასოცდაათი) კვ.მ.

ფართების გადაცემა გამყიდველის/კრედიტორის და ს.ს. „კონცენტრატი"-ს საკუთრებაში ხორციელდება საჯარო რეესტრში განშლის რეგისტრაციისთანავე. სართულზე ბინების გეგმარება ხორციელდება გამყიდველისა და ს.ს. კონცენტრატის სურვილის შესაამისად.

შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანზე „კრედიტორის" და გამყიდველის სასარგებლოდ რეგისტრირდება ვალდებულება: მყიდველი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე მყიდველს ეკრძალება უძრავი ქონების გასხვისება, იპოთეკით ან/და სხვა სახის ვალდებულებებით დატვირთვა.

2.3.3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს სურვილი ექნება დაიწყოს ფართების რეალიზაცია აღებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, იგი ვალდებულია კრედიტორს დარჩენილი ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად წარუდგინოს მოთხოვნის

უზრუნველყოფის საშუალება უძრავი ქონების სახით, რომლის სალიკვიდაციო ღირებულება უნდა უტოლდებოდეს არსებული ფულადი ვალდებულების ოდენობას. დასაშვებია ასევე საბანკო გარანტიის წარდგენა.

2.4. ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოპოვების და წარდგენის ხარჯები ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების საგნის გაფორმების და რეგისტრაციის ხარჯები – მყიდველს.

2.5. საბანკო გადარიცხვის ხარჯები ეკისრება შესაბამისი თანხის გადამხდელ მხარეს.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. მხარეთა უფლებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. გამყიდველი ვალდებულია:

3.2.1. გადასცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ფართი, რაც ნიშნავს, რომ:

- ნასყიდობის საგანი არ არის სადავო;
- არ ადევს ყადაღა;
- არა აქვს ნაკლი;
- არ არის თანასაკუთრების საგანი და არავის აქვს მის მიმართ პრეტენზია .

3.2.2. გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი, მათ შორის, და არა მხოლოდ, მიწის ნაკვეთზე შექმნილი არქიტექტურული პროექტი და შემდგომში ყველა ქმედებას მყიდველი განახორციელებს საკუთარი სახელით, მხარეთა დამატებითი თანხმობების გარეშე, გარდა არსებულ პროექტში ცვლილება/კორექტირების განხორციელებისა, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2.3. მყიდველს გადაეცემა მშენებლობის ნებართვა 2017 წლის ნოემბრამდე მოქმედი სამშენებლო რეგულაციების შესაბამისად. მყიდველს გადაეცემა ქვაბულის გამაგრების, საძირკვლისა და შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.2.4. გადასცეს მყიდველს 2018 წლის 05 სექტემბრამდე პროექტის კონსტრუქციული ნაწილი სრულად, ხოლო ქვაბულის გამაგრების პროექტი არაუგვიანეს 2018 წლის 13 ივლისისა, რაზედაც მხარეთა შორის შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

3.2.5. თუ ნასყიდობის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, რომელიც მყიდველისათვის არ იყო ცნობილი, გამოასწოროს ის.

3.2.6. ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემამდე, უზრუნველყოს შეთანხმებული პირობებით მისი შენარჩუნება.

3.2.7. ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან (მათ შორის ს.ს. „კონცენტრანტი“-ს აქციონერთა მხრიდან) დავის აღძვრის ან/და პრეტენზიის წამოყენების შემთხვევაში პირადად უზრუნველყოს მისი მოგვარება და საფრთხე არ შეუქმნას (არ შეაფერხოს) მშენებლობის პროცესის მიმდინარეობას.

3.2.8 გამყიდველი ვალდებულია ს.ს. „კონცენტრატი“-ს მიერ მისი კუთვნილი ფართების საკუთრებაში მიღებისთანავე უზრუნველყოს ს.ს. „კონცენტრანტი“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმება მიწის ნაკვეთზე.

3.2.9 გამყიდველი და კრედიტორი ვალდებულია მის მიერ თანხის სრულად მიღებისთანავე უზრუნველყოს ვალდებულების გაუქმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

3.3. მყიდველი ვალდებულია:

3.3.1. მიიღოს გამყიდველისგან ნასყიდობის საგანი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

3.3.2. გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა და გადასცეს შეთანხმებული ფართები საკუთრებაში წინამდებარე ხელშეკრულებით განსზღვრული წესითა და ოდენობით შემდეგი პირობებით:

- *გარე წასადი- შელესილი, შეღებილი;*
- *გარე კარ-შანჯარა-მეტალოპლასტმასის;*
- *ცენტრალური კომუნიკაცია (წყალი, ელ. ენერგია, კანალიზაცია) ადგილამდე მიყვანით;*
- *სადარბაზო – კეთილმოწყობილი;*
- *ლიფტი – დამონტაჟებული;*
- *შიდა ტიხრები გამყიდველის სურვილისამებრ;*
- *ლითონის შესასვლელი კარი;*
- *სველი წერტილი ადგილამდე მიყვანით;*
- *ეზო კეთილმოწყობილი.*

3.3.3. „მყიდველმა“ სამშენებლო სამუშაოები უნდა აწარმოოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად და მშენებლობის განხორციელებისათვის უნდა გამოიყენოს არსებული სტანდარტების შესაბამისი მასალები. მყიდველმა მშენებლობა უნდა დაასრულოს - 36 კალენდარული თვის განმავლობაში მშენებლობის ნებართვის გადაცემის მომენტიდან.

შენიშვნა: მშენებლობის ნებართვა და არქიტექტურული პროექტი გადაცემულად ითვლება მყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

3.4. მყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული ასაშენებელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების რეალიზაცია დამოუკიდებლად.

3.5. მყიდველის თანხმობის გარეშე, გამყიდველს მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული ასაშენებელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების რეალიზაცია არ შეუძლია დამოუკიდებლად, სანამ საცხოვრებელი კორპუსები არ იქნება თეთრი კარკასის მდგომარეობაში (საცხოვრებელი კორპუსების თეთრი კარკასის მდგომარეობაში მიყვანისთანავე გამყიდველს უფლება აქვს შეუზღუდავად, მყიდველის თანხმობის გარეშე განახორციელოს მისი კუთვნილი ფართების რეალიზაცია).

4. მხარეთა პასუხიმგებლობა და გარანტიები

4.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. გამყიდველი აცხადებს სრულ და გამოუხმად თანხმობას, რომ ხელს შეუწყობს მყიდველს საქმიანობის განხორციელებაში, არ შეაფერხებს და ყველა საჭირო თანხმობასა და წერილობით დოკუმენტს გასცემს დროულად, გონივრულ და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, რათა მყიდველს არ შეექმნას შეფერხებები აღნიშნულთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ხელშეკრულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

4.3. გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდა

მიღებული თანხის 0.1%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ფულად ვალდებულებებს, არ გადაიხდის ნასყიდობის ფასს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად და ვადაგაცილება გადააჭარბებს 30 (ოცდაათ) სამუშაო დღეს ან/და არ მოახდენს ხელშეკრულებით გათვალიწინებული ფართების გადაცემას შეთანხმებულ ვადაში და ვადაგაცილება გადააჭარბებს 30 (ოცდაათ) სამუშაო დღეს, „კრედიტორი“ და გამყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვს მყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ფულად ვალდებულებებს და არ გადაიხდის ნასყიდობის ფასს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად ან არ გადასცემს გამყიდველს ან/და ს.ს. „კონცენტრანტს“ საერთო ჯამში 3900 კვ.მ ფართებს შეთანხმებულ ვადაში და თუ ვადაგადაცილება გადააჭარბებს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეს გამყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობის მესაკუთრედ ჩაითვლება გამყიდველი, თუ ის მყიდველს დაუბრუნებს მის მიერ გადახდილ და დახარჯულ თანხებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. გამყიდველის და მყიდველის ქმედების კანონიერებას და სამართლიანობას განიხილავს სასამართლო.

4.6. მყიდველის მხრიდან ფულადი ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მყიდველის მიერ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობაზე გაწეული ფინანსური დანახარჯი აუნაზღაურდება მყიდველს მხოლოდ ახალი ინვესტორის მიერ მშენებლობის გაგრძელების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში მყიდველს აუნაზღაურდება დანახარჯი 10%-ის (ათი პროცენტი) გამოკლებით, რომელიც ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ამ პუნქტით განსაზღვრული ფინანსური დანახარჯი გაიცემა ახალ ინვესტორთან ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვისა.

5. დავა

5.1. ამ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით, მხარეები კანონით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს.

5.2. ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილია ნასყიდობის საგნის ადგილსამყოფელი, მხარეთა შორის დავა განსჯადობის მიხედვით განხილულ და გადაწყვეტილ იქნება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ. მხარეები თანხმდებიან, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

6. ენა და კომუნიკაცია

6.1. მხარეების საკომუნიკაციო ენაა ქართული ან/და რუსული.

6.2. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირად.

6.3. წერილობითი ურთიერთობისას შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნას ხელშეკრულებაში მხარეების მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტა.

7. *ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი*

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები*

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

8.2. ნასყიდობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ხელშეკრულება ასევე შედგენილია რუსულ ენაზე. უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ეგზემპლარს.

მყიდველი _____

გამყიდველი _____

კრედიტორის
წარმომადგენელი _____